# თაკვერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№3 (11) თებერვალი, 1996წ. თავისუფალი გაზეთი. ფასი 10 თეთრი

## პარლამენტარი ამომრჩევლებთან

სამი დღის განმავლობაში ხვდებოდა თავის ამომრჩევლებს პარლამენტის წევრი ბატონი ვალერი გიორგობიანი. ამომრჩევლებთან ურთიერთობა ტვიშის, ქორენიშის, ორხვის და მახაშის მოსახლეობასთან შეხვედრით დაიწყო. იგი მეტად გულღია და საქმიანი გამოდგა. პარლამენტარი თავის ამომრჩევლებს საქართველოს პარლამენტის დღევანდელი საქმიანობის შესახებ მოუთხრობდა; ამომრჩევლებს განსაკუთრებით აინტერესებდათ მიწის, ჯანმრთელობისა და განათლების სისტემის შესახებ მომავალში მისაღები კანონების განხილვის მიმდინარეობა, სხვა საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც სოფლად მოქალაქეთა ცხოვრებასა და შრომას დაარეგულირებენ.

ამომრჩევლებმა დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხი მიიღეს და თვით დასვეს სოფლის ზოგიერთი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობის ამოცანები, რომლებიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს და მასში განსაკუთრებული წვლილი თვით პარლამენტარს ეკუთვნის.

პარლამენტარი შეხვდა და ესაუბრა რაიონის სამრეწველო, სამშენებლო, სავაჭრო და მომსახურების სხვა სფეროების ხელმძღვანელებს, საშუალო და რვაწლიანი სკოლების დირექტორებს; განათლების მუშაკებს გადასცა სკოლების მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ახალგამოსული სახელმძღვანელო „ბიბლიური მოთხრობები".

მოუწყო მოქალაქეთა მიღება; დაყენებული საკითხები მუშავდება და დაისახება კონკრეტული ღონისძიებანი მათი გადაწყვეტისათვის.

## დღის წესრიგში — კვლავ აქტივის კრება!

## მართვა ხელოვნებაა: რომ მართო, პროფესიონალი უნდა იყო

ეს სიტყვები, მათში ჩადებული აზრით, ყველა დროის მოთხოვნაა; ცხოვრება მართვის გარეშე წარმოუდგენელია, აბსოლუტური ქაოსია და ადამიანებისათვის უბედურების მეტი არაფერი მოაქვს. მართვა უნდა არამარტო ცხოვრებას საერთოდ, არამედ იგი აუცილებელია მისი ყველა სფეროსათვის, დარგისათვის, წარმოებისათვის, დაწესებულებისათვის; იგი ყველაზე მეტად საჭიროა დღეს, როცა ცხოვრებამ დაანგრია ეგრეთწოდებული „კომუნისტური ფორმაცია", ფეხს იკიდებს საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი, ერთი სიტყვით — თავისუფალი ადამიანი თავისუფალ გარემოში იწყებს მოღვაწეობას.

გაზეთის რედაქცია ითვალისწინებს მართვის ხელოვნების დაფუძნების აუცილებლობას, ამ პროცესის სიძნელეს და ფიქრობს შემოიღოს ახალი რუბრიკა — „მართვა ხელოვნებაა: რომ მართო, პროფესიონალი უნდა იყო!" ჩვენი აზრით, იგი დაეხმარება ეკონომიკის, სოციალური სფეროს, საზოგადოებრივი წესრიგის ცალკეული დარგების, წარმოება-დაწესებულებებისა და ეკონომიკური სფეროს სხვა წარმომადგენლების ხელმძღვანელებს მართვის პრობლემების დაძლევაში; მათთან ერთად ვეცდებით, სპეციალისტების საშუალებით ანალიზი გავუკეთოთ განვლილ მუშაობას, ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ მოწინავეთა გამოცდილება და მისი დანერგვის მექანიზმი.

დღევანდელ ხელმძღვანელობაში რიგი მუშაკებისა ან პარტიული „ფუნქციონერები" არიან ან „სახალხო მეურნეობაში" ცალკეულ დარგებს მართავდნენ, ან უბრალოდ იმ ცხოვრების „სპეციალისტები" არიან. როგორც მიმდინარე ცხოვრება ამტკიცებს, მათ ეს ყოფილი ფუნქციები სრულებით არ უშლის ხელს, უმეტესად ეხმარება კიდეც. გააანალიზონ წარსულის გამოცდილება, იმ „ბაგაჟიდან" წამოიღონ მხოლოდ უნარჩენო ცოდნა და მეცნიერების მონაცემებს დაყრდნობილი ეკონომიკური და სხვა ანალიზები, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად მიუყენონ იგი თანამედროვე მოთხოვნებს და მართვის პრობლემებიც ნათლად გამოჩნდება. ეს ჩვენი აზრია, და თუ მიუღებელია და ამას ოპონენტები დაამტკიცებენ, მას უკან წავიღებთ.

დღეს ამ რუბრიკის ქვეშ, გაზეთის მეორე–მესამე გვერდზე ვბეჭდავთ ინტერვიუს რაიონის გამგებლის პირველ მოადგილესთან ბატონ მელსი ყურაშვილთან. ძირითად მომენტებს ახლახან გამართული რაიონული აქტივის კრების მოხსენებიდან და კრების მონაწილეთა გამოსვლებიდან, რეკომენდაციებს 1996 წელს გასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც სამოქმედო პროგრამად დააკანონა აქტივის კრებამ.

### რედაქტორის სვეტი

ამას წინათ გამგეობის შენობის ფანჯრიდან ავტოგზას, ადმინისტრაციული შენობების ეზოებს გადმოვხედე და ერთ ჩემს კოლეგას ვუთხარი: გაიხედე, ჩემო ძამია, ამას, რასაც ჩვენ ვუყურებთ, ალბათ ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავ — ეზოები, ჩამოსასვლელი კიბეები, ავტოგზა — მთლიანად სავსე იყო მამაკაცთა მოსაუბრე ჯგუფებით — დაახლოებით 50-60 კაცი. მოხვდებით ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და რა დროც არ უნდა იყოს, 50-55 ტყუილადმდგომი სახეზეა. ასეა თითქმის ყველგან — სოფელში, ქალაქში, გზებსა და გზაჯვარედინებზე, ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

არავინ ისე არ გამიგოს, თითქოს ამ ადამიანებს ვადანაშაულებდე, თუმცა მათთანაც მაქვს სათქმელ-სასაყვედურო. მთავარი სხვაა, სხვა ცოდვა-ბრალია, „გაშლილი სუფრის" ჩვევის გადმონაშთია, დარგების ხელმძღვანელთა უსუსურობაა და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თვით ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ.

სამუშაო ადგილი... ახალი სამუშაო ადგილი... როგორც ახლა ამბობენ და ანგარიშობენ, მოქალაქეთა კავშირის არჩევნებში გამარჯვება ერთგვარად იმანაც განაპირობაო, რომ მილიონ სამუშაო ადგილს შეპირდა ამომრჩეველს. შეასრულებს თუ არა დანაპირებს მმართველი პარტია, ამ შემთხვევაში ჩვენი განსჯის საგანი არ არის, მაგრამ თვით სამუშაო ადგილი — მომგებიანი პოზიცია რომ მიგნებულია, ეს ფაქტია. ყოველი ახალი სამუშაო ადგილი თითოეული ჩვენთაგანის დასაქმებაა, დასაქმებული კაცი იმედიანი ხდება და იუმჯობესებს ცხოვრების პირობებს, იხდის გადასახადს, ერთი სიტყვით სოციალური დაცვის ქუდი თავზე საიმედოდაა მორგებული.

რამდენიმე მაგალითი დავაკონკრეტოთ და შემდგომ საერთო დასკვნა გავაკეთოთ. ლეჩხუმის აღორძინების ფონდმა პირველი ნაბიჯები გადადგა, თუმცა მოკრძალებული, მაგრამ უცბად გაჩნდა 20-25 სამუშაო ადგილი. ორი მაღაზია, ერთი საზკვების ობიექტი გაიხსნა და გაჩნდა 10-12 სამუშაო ადგილი. გასულ წელს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო სასურსათო

## უპირველესი და არა სათადარიგო,

### ანუ ვესმათ ყველას, ვისაც ჯერ არს, რომ თითოეულ სამუშაო ადგილს ოქროს ფასი აქვს.

კომბინატსა და ღვინის საწარმოებს: სუსტი მაგრამ ერთგვარი იმედიც ჩაგვესახა. ცოტა პროდუქცია მაინც იქნა წარმოებული; თუმცა კონკრეტულ ძიებას, საქმიან დაინტერესებას ახალი სამუშაო ადგილების დამკვიდრებისა და შემდგომ მისი თვისობრივი ზრდისათვის ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

ავიღოთ თუნდაც ავტოსატრანსპორტო საწარმოების, მანქანა-ტრაქტორთა პარკის, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება საწარმოების ამოქმედებისათვის. ეს საწარმოები არც ამოქმედდნენ და არც გაიყიდნენ. სწორი ნაბიჯი გადადგა რაიონულმა გამგეობამ, როცა მათი ამოქმედებისა და, თუ სწორად დავსვამთ საკითხს, მათი მართვის გაუმჯობესების მიზნით ისინი სახაზინო საკუთრებაში აიყვანა. ეს გზა სწორია, მაგრამ სწორი და მომგებიანია გამგეობისათვის, ბიუჯეტისათვის. თვით საწარმოები კი თავისუფალი მართვის საშუალებას კარგავენ, ინიციატივა ნაკლებია და მოვალეობის მოხდაა — სხვის ხელში, სხვისი მფარველობის ქვეშ უფრო იმედიანად, უფრო თავდაცულად ვიქნებითო. ერთს, ვინც შეიერთა ახალი ქონება, ვუწონებ, მეორეს, ვინც შეუერთა თავისი სხვას, ვერ მოუწონებ. ვნახოთ, ცხოვრება ყველაფერს გვიჩვენებს. ერთი კია—საწარმოთა ხელმძღვანელებს ახალი სამუშაო ადგილების გამოჩენა მტკივნეულად უნდა ადარდებდეთ, საკუთარი თავი და შრომითი კოლექტივი არ უნდა დაივიწყონ.

მე, რომ ხელმძღვანელი ვიყო, ახლა სოცშეჯიბრება აღარ არის, მაგრამ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობისა, თუ საქმიანობის შეფასების მთავარ კრიტერიუმად ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას დავაწესებ და ყველა ჯილდოს იმ ხელმძღვანელს მივცემ, ვინც ყოველკვირეულად თუ არა, ყოველთვიურად მაინც 15-17 სამუშაო ადგილის დაკანონებას მოახერხებს. გმირი დღეს ისაა, ვინც ამ ტანჯული ყოფიდან ყოველდღიურად, სისტემატურად თითო-თითოდ გამოიყვანს იმედგაცრუებულ მოქალაქეს და სარჩო-საბადებელს გაუჩენს, დაასაქმებს, მოეფერება, გვერდში ამოუდგება.

მიწის კანონი ძალაში შედის. ყოველი ჰექტარის პატრონი უმუშევარი როდია, მაგრამ, თუ სადმე კანონ-სამართალია, მიწა იმან უნდა დაიკანონოს, ვისაც ეკუთვნის და არა იმან, ვინც იგი კანონიერ მფლობელს წაგლიჯა, ლობე-ყორე შემოავლო და უსამართლოდ უნდა დაიკანონოს. ყოველი გოჯი მიწა მაშინ იქცევა სამუშაო ადგილად, როცა გლეხურ-ფერმერულ მეურნეობას ბაზარი ექნება, გასაღებისა და შეძენის ბაზარი. აი, რა უნდა ვეძებოთ და დავამკვიდროთ დღეს.

გესმათ ყველას, ვისაც ჯერ არს, რომ თითოეულ სამუშაო ადგილს ოქროს ფასი აქვს.

## დესპინე დავითის ასული გელოვანი ბანოვანი

დესპინე დავითის ასული გელოვანი-ბანოვანი — დაიბადა 1880 წლის 6 დეკემბერს სოფელ ლაჯანაში (ახლანდელი ცაგერის რაიონი), გარდაიცვალა 1934 წლის 6 დეკემბერს თბილისში ქართველი მწერალი, პუბლიცისტი. მისი მოთხრობები, ესკიზები, ეთნოგრაფიული წერილები, ლეჩხუმიდან გაგზავნილი კორესპონდენციები იბეჭდებოდა 1898 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („ივერია", „ცნობის ფურცელი", „შრომა", „მეგობარი", „ისარი", „თემი", „ამირანი", „სახალხო განათლება").

ბანოვანის წერილების უმრავლესობა მიმართული იყო ადგილობრივი მემამულეებისა და მეფის მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ. ბანოვანი 1905–07 წლების რევოლუციის მონაწილე და იმდროინდელი ლეჩხუმის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე იყო. აქ მან დაარსა რამდენიმე ბიბლიოთეკა, ხელმძღვანელობდა სცენისმოყვარეთა წრეებს.

1920 წლიდან ბანოვანი თბილისში ცხოვრობდა. 1928 წელს ჟურნალ „მნათობში" გამოაქვეყნა რომანი „სამართალს სისხლით მოვძებნი". ვრცელ ისტორიულ რომანში „მორეული ლანდები" (დაიბეჭდა 1959 და 1960 წლებში) ბანოვანი ასახავს მე-17 საუკუნის საქართველოს სინამდვილეს. დაწერილი აქვს მოთხრობებიც — „ღების ბატონი", „ქალი" და სხვა.

გაზეთ „თაკვერის" რედაქციამ გადაწყვიტა დესპინე დავითის ასული გელოვანის უკვდავსაყოფად, რომლის ფსევდონიმსაც სახელწოდებად ატარებს ფონდი „ბანოვანი", მთაწყოს მხარის (ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის) მოჭადრაკეთა პირველობა ბანოვანის სახელობის პრიზზე. იგი გაიმართება ყოველწლიურად „ცაგერობის" დღესასწაულის დღეებში.

გაზეთის რედაქცია ამზადებს სპეციალურ პრიზს მოჭადრაკე მამაკაცებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე კონკურსში, დებულების თანახმად, მონაწილეობას მიიღებს თითოეული რაიონიდან ორი მამაკაცი და ერთი ქალი. შეჯიბრებაზე მოწვეული იქნება აგრეთვე 2–3 მოჭადრაკე ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის რეკომენდაციით.

გაზეთის რედაქცია სთხოვს რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ცალკეულ მოქალაქეებს, ფირმებსა და კოოპერატივებს, ბიზნესმენებს მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრების ორგანიზაციის მოწყობაში და სპონსორობა გაუწიონ საჭადრაკო კონკურსს.

„თაკვერის" რედაქცია.

# დღის წესრიგში — კვლავ აქტივის კრება!

როგორც ვაუწყებოდით, რაიონული აქტივის კრებამ განიხილა 1995 წელში რეგიონში გაწეული საქმიანობის შედეგები და ის ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფენ სადღეისო ეკონომიკურ ამაღლებას, სოციალურ საჭიროებათა დარეგულირებას, კრიმინოგენური სიტუაციის მოწესრიგებას.

საქმიანი განსჯისა და ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია დადებითი შედეგების მოპოვება. ამას ემატება გადასაწყვეტ პრობლემათა რიგითობის დაცვა, სამოქმედო პროგრამის სრულყოფა და მისი გადაწყვეტის მექანიზმის შექმნა. სწორედ ამიტომაც აქტივის კრების წინაშე მარტო მიღწეული შედეგების ჩამოთვლა როდი იყო მთავარი. გაწეული საქმიანობის კონკრეტულმა ანალიზმა სრულად გამოავლინა ჯერ კიდევ არსებული მიზეზები და ნაკლოვანებანი, მიეთითა კონკრეტულ, ობიექტურ მიზეზებზედაც და ერთობლივად გამოჩნდა სამომავლო პოზიციები.

● დამოუკიდებელი ქვეყნის შენების საფუძველი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების სრულ შესაბამისობაში წარმოების მოყვანაა: არა მარტო წარმოების, არამედ ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, წარმოქმნილი ახალი ეკონომიკური სუბიექტების, ბაზრების, საგადასახადო სისტემის ახლებურად მართვაა, ბიუჯეტის სრულყოფაა — აი, ამოცანები, რომლებიც იდგა და დგას რაიონის მთელი მოზრდილი მოსახლეობის, მისი ხელმძღვანელის წინაშე და ითხოვს დაჩქარებულ და კონკრეტულ გადაწყვეტას.

ჩვენი რეგიონისათვის ყველაფერი მაინც მიწიდან იწყება: მიწის რეფორმის სრულყოფილი გატარება, გლეხურ-ფერმერული მეურნეობის საფუძვლის შექმნა, სრულყოფა და მისთვის საჭირო ბაზრის ძიება, სოფლისათვის ცხოველის საკვების, შხამქიმიკატების, კონდიციური თესლის, განსაკუთრებით სასუქების, წვრილმანი იარაღ-მოწყობილობების, საწვავის, ტრანსპორტის მიწოდება და ორივე მხარისათვის სასარგებლო ხელშეკრულებების გაფორმება. გლეხი — ფერმერისათვის მორალურად სრულყოფილი და დაცული სიტუაციის შექმნა არის ის საფუძველი, რომელიც შექმნის უხვი მოსავლის გარანტიას და შეავსებს სახელმწიფოსაგან შედარებით ძვირი პურეულის მიღების გამო გამოწვეულ დანაკლისს.

უფრო კონკრეტულად: მიწის პრივატიზაციის შედეგად გლეხი — ფერმერისათვის გადაცემული ვენახი და ხეხილი დაავადებულია; მასობრივადაა გავრცელებული ცხოველისა და ფრინველის დაავადებები; თესლები, რომლითაც ახლა მოსახლეობა სარგებლობს, არაკონდიციურია; საშყოფად არ არის იაფი საწვავ-საცხები მასალები, მანქანა-ტრაქტორები, სათადარიგო ნაწილები.

სრულიად უმართავადაა მიტოვებული მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. სოფლად ფეხს ვერ იკიდებს მიწათმოქმედების მაღალი კულტურა და მცირე ბიზნესი. სოფლის მოსახლეობის განვითარებისათვის გამოყოფილი დაბანდებანი ისედაც მცირეა, ხოლო შედეგი — სრულიად არასაკმარისი.

მოხსენებაში სრულყოფილადაა გაკეთებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობის ანალიზი. იგი მეტნაკლებად ეხება ღვინის საწარმოებისა და სახურსათო კომბინატს. ოთხივე ქარხანაში ბარტერული გაცვლით დამზადდა 263 ტონა ყურძენი, წინა წელთან შედარებით 5-ჯერ მეტი, მაგრამ წარმოების ზრდისა და კერძო ბიზნესის დამკვიდრების საჭიროების ტემპი ძალზე დაბალია: თითქმის დაუტვირთავია სახურსათო კომბინატი. დღევანდელ საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი არ გამოინახა საშუალებანი მეწარმეთა სრულყოფილი შრომითი პირობების შექმნისათვის, მწარმოებელსა და გადამამუშავებელს შორის კავშირის სრულყოფისათვის.

რაიონში სამრეწველო და მოხმარების პროდუქციის ზრდის ტემპი ერთგვარად გაიზრდა. საქონელბრუნვის მოცულობა მატულობს, მაგრამ ამას ვერ „დავაბრალებთ" წარმოების მართვის სრულყოფას. იგი, უმეტესწილად, გადმოყოლილი ეგრეთწოდებული „კომუნისტური მეურნეობის" დამახასიათებელი ზრდის შედეგი უფროა.

ლაჯანურჰესის გააქციონერების, დამოუკიდებელი იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისა და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მისი დაბეგვრა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ ის პერსპექტიული რეზერვია, რომელიც რაიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრ ამაღლებას გამოიწვევს მისგან შევსებული ბიუჯეტის ბაზაზე. ამ მიმართებით სამხარეო ადმინისტრაციისა და რაიონის გამგეობის პერსპექტიულ წინადადებასა და სამართლიან მცდელობას, ჩვენი აზრით, გაგებით უნდა მოეკიდოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

ამასთან მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, როცა ჯერ კიდევ არსებული წარმოება-დაწესებულებები და მოსახლეობა შეგნებულად თუ უსახსრობის გამო არ იხდის ელექტროენერგიის ღირებულებას და დავალიანება 1996 წლის პირველი იანვრისათვის 113.966 ლარს შეადგენს.

მოხსენებაში ერთგვარი ყურადღება დაეთმო რაიონის 1995 წლის ბიუჯეტის მონაცემებს, მისი შეუსრულებლობის მიზეზების ანალიზსა და ახალი წლის ბიუჯეტის შესრულების მთავარ მიმართულებებს, თუმცა რიცხვებით ანალიზი სჭარბობს მეცნიერულ ანალიზს. ნაკლოვანებებია არამარტო ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვის საქმეში, არამედ მისი შესრულების მექანიზმის სრულყოფაში. საფინანსო განყოფილებისა და საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის ერთგვარი თვისობრივი ზრდის მიუხედავად ბიუჯეტის შედგენის, შესრულებისა და გამოყოფილი თანხების ხარჯვის საქმეში არის ხარვეზები, ზოგჯერ უპასუხისმგებლობაც და წაყრუებაც კი ნაკლოვანებებისადმი — ეს უფრო მეტად ზოგიერთი ორგანიზაციის მხრიდან შეიმჩნევა.

აქტივის კრებაზე — მოხსენებასა და კამათში სინანულით აღინიშნა, რომ რაიონში მთლიანად მოიშალა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და საზკვების, საამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შეწყდა მშენებლობაცა და რემონტიც. მწყობრიდან გამოვიდა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. სამშენებლო ორგანიზაციების თვით სამშენებლო ტექნიკა უსაქმოდ დგას, სადაც იგი შენარჩუნებულია და მწყობრიდან გამოდის; სამშენებლო კოლექტივები დაიშალა. სპეციალისტები რაიონს გარეთ მასიურად წავიდნენ. ამ და სხვა სერიოზულ ნაკლოვანებებს მარტო შექმნილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას ვერ დავაბრალებთ. სომ არის ხელმოსაკიდი ფაქტები, როცა საზკვების ობიექტები, მისი მატერიალური საშუალებები მავანმა და მავანმა გაძარცვა; უყურადღებობის გამო სრულიად გაიძარცვა წიფერჩის რკინა-ბეტონის პოლიგონი, ცაგერის რესტორანი; დაანგრიეს და მიითვისეს მეცხოველეობის ფერმები; დასანგრევადაა გამზადებული ასფალტობეტონის ქარხანა: იერსახე დაკარგა ქალაქმა.

მართალია, ეს აღმოსაგონარი ფაქტები მარტო გასულ წელს არ მომხდარა და არც არასდროს მისცემია მათ სათანადო შეფასება, მაგრამ ეს დარგების დღევანდელი ხელმძღვანელობას როდი ათავისუფლებს მკაცრი პასუხისმგებლობისაგან. მარტო ენთუზიაზმი და შესრულების აუცილებლობის გრძნობა საქმეს ვერ შველის. რა სამართლიანად ამბობენ ზოგიერთი წარმოების შესახებ — მის ხელმძღვანელს ერთი კარგი ბოქლომი და ყოჩაღი ყარაული სჯობიათ: ანგარიშგასაწევი აზრია.

## მართვა ხელოვნებაა: რომ მართო, პროფესიონალი უნდა იყო!

ооо

### ძირითადი მომენტები მოხსენებიდან

ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას კრიმინოგენური სიტუაციის მოწესრიგება, ადგილებზე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება უზრუნველყოფს. ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ დამნაშავის ადგილი განსხვავების სკამზეა, არამედ იმასაც, რომ იგი რაც შეიძლება ცოტა რაოდენობით გვყავდეს. როცა ერთიცა და მეორეც, როცა დამნაშავენი დაპარპაშებენ, როცა დანაშაულს და ისიც ჯგუფურს სჩადიან პოლიციის მუშაკები, როცა ხდება მშვიდობიან მოსახლეობაზე პოლიციის ყურს უკან ყაჩაღური თავდასხმა, როცა ხარვეზებია ავტოინსპექციის საქმიანობაში, როცა მოსახლეობა სამართალდამცავ ორგანოებს სერიოზულ პრეტენზიებს უყენებს, ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს იმ სერიოზული ღონისძიებათა გატარების აუცილებლობაზე, რაც წესრიგის დამყარების საქმეში წესრიგს დაამყარებს.

სერიოზული ამოცანები დგას ახლადშექმნილი რაიკოოპერატივისაგან რეორგანიზებული ახალი ტიპის კოოპერატივის წინაშე. ეს უკანასკნელი ახლახან ჩამოყალიბდა და უნდა იქცეს არა მისი წინამორბედის მემკვიდრედ, არამედ რაიონის მოსახლეობის მთავარი იმედი უნდა იყოს სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების საქმეში. მუშაობის გაგრძელება ვაჭრობის ძველი მეთოდებით მხოლოდ ჩავარდნას და უკმაყოფილებას გამოიწვევს. საჭიროა ახალი ფორმების ძიება და დანერგვა. სხვა გამოსავალი ამჟამად არ არის.

ერთ დროს მოწინავე კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი არ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარ[illegible] „სხვის ფელადლებად" დაფუძნდა. ჯერ-ჯერობით [illegible] სიახლე ამ საკომუნიკაციო დარგში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად ან თითქმის განადგურებულია. მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ის, რაც გასულ წელს გაკეთდა, ზღვაში წვეთია, ხოლო საზრუნავ-საკეთებელი უსასრულოდ ბევრი; იმედი და მატერიალური საშუალებანი ძალზე მცირეა. ე. ი. პერსპექტივა იმისა, რომ 2–3 წელიწადში დარგი წარსულის დონეს მაინც დაუბრუნდეს, ძალზე შეზღუდულია.

მაგრამ არის იმედიც — პრობლემა მიგნებულია და ამ დარგის ხელმძღვანელებმა იგი უნდა გადაჭრან — სხვა გამოსავალი არ არსებობს.

დღევანდელი საზოგადოების განვითარების მთავარი ფაქტორი საბაზრო ეკონომიკაა, ხოლო მისი დამკვიდრება და მართვა ადგილობრივი და რაიონული რგოლის ხელმძღვანელობის უმთავრესი საზრუნავია. თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები დაბალი საშემსრულებლო დისციპლინისა და პასუხისმგებლობის უქონლობის გამო მეურნეობის საფუძვლების განვითარებას ვერ მართავენ.

აქტივის კრებაზე განსაკუთრებით ხაზგასმით ითქვა, რომ მემკვიდრეობით მიღებული საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე და პირადი პასუხისმგებლობის უქონლობა ხელმძღვანელ მუშაკებში სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას და ამ მიმართებით გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობა და მისი კიდევ უფრო გაძლიერების ამოცანები უკვე ჩამოყალიბებულ პროგრამადაა ქცეული. გამგეობის სხდომებს, აქტივის კრებებს, მართვის სრულყოფისათვის მოსახლეობასთან და აქტივთან შეხვედრებს, კადრებთან ინდივიდუალური თანამშრომლობას უკვე მოაქვს სასურველი შედეგი. თვით ის ფაქტი, რომ რაიონის გამგებელი ცდილობს შექმნას თანამოაზრეთა გუნდი, არსებითად აამაღლოს აპარატის თითოეული მუშაკისა და სხვა ხელმძღვანელების თეორიული ცოდნის დონე, მისცეს მათ საშუალება ინიციატივისა და დამოუკიდებლობისა, იძლევა იმის გარანტიას, რომ რეგიონის მართვის მექანიზმი ხვალ და მომავალში უფრო შემოქმედებითად და გონივრულად ამოქმედდება, ეკონომიკური, სოციალური, კრიმინოგენური სიტუაციის მომწესრიგებელი გარემო არსებითად მოკლე დროში შეიქმნება, რაც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა დამკვიდრების უტყუარი გარანტიაა.

# აქტივის კრების რეკომენდაციები 1996 წელს გასატარებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

1. საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციებმა, წვრილმა ბიზნესსაწარმოებმა, მმართველობის ადგილობრივმა სამსახურებმა, რაიონული გამგეობის შესაბამისმა განყოფილებებმა და სათანადოდ მოწოდებულმა ყველა სტრუქტურამ მთელი საქმიანობა წარმართოს იქეთკენ, რომ შეიქმნას სათანადო პირობები საწარმოთა ამოქმედებისათვის, სამუშაო ადგილების გაჩენისა და სპეციალისტების მაქსიმალური დასაქმებისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისა და მასში დაბანდებული მატერიალური საშუალებებისა და კრედიტების უკუგების ზრდისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს იმ საწარმოთა სახაზინო საწარმოებად გარდაქმნა, რომელთა პრივატიზაცია არ განხორციელდა, მათი და არსებული ყველა საწარმოს ეკონომიკის გაძლიერების მიზნით შემუშავდეს ერთიანი ბიზნესგეგმა (ბიზნესპროგრამა), რომლის შესრულებაც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების ზრდას, საგადასახადო სისტემის მობილიზებას, საფინანსო და საბანკო ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბიუჯეტის შექმნის წყაროების გამოვლენას, მათი ამუშავების მექანიზმის სრულყოფას, ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყოფილი ასიგნებათა ხარისხობრივ ათვისებას, საერთო ჯამში კი მომავალი წლის სრულყოფილი ბიუჯეტის შექმნას.

2. სოფლის საკრებულოების გამგეობებმა, რაიონული საკრებულოს სოფლის მეურნეობის განყოფილებამ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელმა და გადამამუშავებელმა საწარმოებმა, ყველა სხვა მოწოდებულმა ორგანიზაციებმა, საგადასახადო იქნება იგი თუ საფინანსო, პირველ რიგში მიწის კანონის სრული დაცვით მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სრულყოფილ პრივატიზაციას, გლეხურ-ფერმერული მეურნეობის უზრუნველყოფას სასუქებით, შხამ-ქიმიკატებით, თესლით, საჭირო ტექნიკით, საწვავ-საცხები მასალით და, რაც მთავარია, გასაღების ბაზრით. მიწის გამოყენების კულტურა უნდა იქცეს ცხოვრების მოთხოვნილებად.

სოფელი თავისი ყველა პრობლემით, როგორც რაიონის მოსახლეობის ძირითადი მარჩენალი წყარო, მისი მომავლის მტკიცე საფუძველი და რაიონის ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელ-მომხმარებელი, 1996 და შემდგომ წლებში უნდა იქცეს ყველა ორგანიზაციის, დაწესებულების, მმართველობითი და ადმინისტრაციული ორგანოების მთავარ საზრუნავ პოლიგონად.

საგაზაფხულო სამუშაოები, სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების შენარჩუნება, ხილისა და ყურძნის უნიკალური ჯიშების მოძიება, დანერგვა, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება, მისი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა დღეს ყველას საზრუნავია ზოგადადაც და კონკრეტულადაც.

3. სოციალურ სფეროში გადასაწყვეტ პრობლემათა ძირითად მიმართულებებად ჩაითვალოს:

— ვაჭრობისა და მომსახურების სისტემის ახლებური მართვა, კომერციული საქმიანობის სრულყოფა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად; რაიონის მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება, მისი მოთხოვნილებების მინიმალური დაკმაყოფილება მაინც, ე.ი. რაიონში სავაჭრო პოლიტიკა უნდა განახორციელოს ახლადშექმნილმა სისტემამ;

— მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელება სისტემაში ფასიანი მომსახურების დანერგვით;

— განათლების დარგში გათვალისწინებული რეფორმის მოთხოვნათა დანერგვა, საკადრო პოლიტიკის ახლებური სრულყოფა, ბაზის გაძლიერება, მასწავლებლის შრომის ანაზღაურების მაქსიმალური ამაღლება;

— კულტურის სფეროში მოქნილი მართვის მექანიზმის დანერგვა, ქსელის გააქტიურება, ტრადიციული დღესასწაულების აღდგენა, ადამიანის ფაქტორის კულტურული სრულყოფა;

— საერთოდ მოსახლეობის ცხოვრების, ყოფის არსებითი გაუმჯობესება, სოციალური სფეროს მართვის მიზნობრივი გარდაქმნა და კონსტიტუციური უფლებების მაქსიმალური გამოყენება;

— კრიმინოგენური სიტუაციის მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების სრული შესაბამისობით ისე, რომ შეიქმნას სრულყოფილი პირობების ადამიანის შრომისა და ცხოვრებისათვის;

— მართვის ორგანოთა მუშაობის არსებითი გარდაქმნა, ეკონომიკური რეფორმის პრობლემებისადმი მისი ორგანული შერწყმა, ყველა სახის დისციპლინის დაცვა და გაძლიერება, პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება. ადამიანის საქმიანობა და კანონის მოთხოვნა სრულ კონსტიტუციურ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს.

**ინტერვიუ**

# რამდენიმე შეკითხვა გამგებლის პირველ მოადგილეს ბატონ მელსი ყურაშვილს

**კითხვა: ამ ხელმძღვანელ პოსტზე რა გამოცდილებით მოხვედით, როგორც იტყვიან, „რით მოხვედით" და გქონდათ თუ არა საკურატორო სფეროსთან ძნელშეგუების პერიოდი.**

პასუხი: სანამ უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა პირადად თქვენ და „თაკვერის" პატარა კოლექტივს ვუსურვო შემოქმედებითი წარმატებები და მკითხველის სიმპათია.

ახლა უშუალოდ კითხვაზე — დავიბადე რიგითი მოსამსახურის ოჯახში; მაქვს საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო და უმაღლესი იურიდიული განათლება; ვიყავი რიგითი მუშა, კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერი, ვცადე სამეურნეო საქმიანობაც, პრესაც. ცხოვრების დიდი ნაწილი მოვახმარე პროფკავშირულ მოღვაწეობას., ასე რომ საკმაო „ბარგით" და გამოცდილებით მოვედი, მაგრამ მართვის მეთოდები, რომლებსაც ვფლობდი, არსებითად მხოლოდ თვისობრივად განსხვავდება დღევანდელი აუცილებელი მართვის სტრუქტურისაგან, ხოლო მისი ანა-

დასასრული მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ალავიძე — ლეჩხუმის მიწის ღირსეული შვილი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, სკოლის დამსახურებული მოღვაწე.

# მეოთხმოცედ...



მეოთხმოცედ შეხვდა ახალ წელს ცნობილი ფილოლოგი,— მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი მიხეილ ალავიძე.

მისი დაბადების 80 წლისთავი შესრულდება 1996 წლის 24 მაისს. ის ამ ასაკშიც კვლავ ჭაბუკური გულით შრომობს, იღვწის და აქვს ღირსეული ტიტულები.

ბატონი მიხეილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ასეთია:

ფილოლოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ნესტორის ძე ალავიძე დაიბადა 1916 წლის 24 მაისს ცაგერის რაიონის სოფელ საირმეში. 1938 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მას შემდეგ განუწყვეტლივ მხოლოდ აქ (ახლა უნივერსიტეტში) მუშაობს; გამოცემული აქვს წიგნები — „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", „ლეჩხუმური ლექსიკონი", „ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა", „რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმია", ლიტერატურულ-ენათმეცნიერული მონოგრაფიები და გამოკვლევები ქართველურ (ქართულ, სვანურ, ზანურ) ენათა ურთიერთობისა და ქართული მწერლობის კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად (ჟანრში ლიტერატურათმცოდნეობა) მიღებული იქნა სახალხო პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის რეკომენდაციით, მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოღვაწის, მეორე მსოფლიო ომისა და შრომის ვეტერანის და ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდებები.

დაე, უმრავლოს ქართველ ერს ასეთი სპეტაკი და ფუტკარივით გამრჯე, პატრიოტი და სამაგალითო შვილები.

ინტერვიუს ბატონ მიხეილ ალავიძესთან შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში.

## ლეჩხუმის კოლორიტული ფიგურები



სამსონ ექვთიმეს ძე კოპალიანი
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

---

ინტერვიუ

# რამდენიმე შეკითხვა გამგებლის პირველ მოადგილეს ბატონ მელსი ყურაშვილს

დასასრული

ლიზი და იქიდან მთავარის ალება ძალზე გამიადვილდა და ძნელშეგუების პერიოდიც საკურატორო სფეროსთან უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა ერთი განსხვავებით — სოციალურად დაუცველთა არმია რიცხობრივად დიდია, პრობლემები უხვადაა დაგროვილი, ხოლო მათი გადაჭრის შესაძლებლობები თითქმის ნულის ტოლია.

**კითხვა: სოციალური სფეროს ზოგიერთი პრობლემა საკუთარ თავზე ხომ არ გამოგიცდიათ? როგორ იყენებთ „იმ საზოგადოებაში" მიღებული გამოცდილებას დღევანდელი კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.**

პასუხი: რა საამაყოა, მაგრამ ასეა: არც დიდ და არც ჩემს დღევანდელ ოჯახში (თუმცა ისინი არასდროს გამიყვია) სოციალური შეჭირვების მომენტი უცხო არასდროს ყოფილა. ეს მაიძულებს უფრო ახლოს მივიდე ადამიანებთან, რომლებსაც უჭირთ, იმედი დაუკარგავთ. ერთეულების დღევანდელი ყოფის ანალიზი საშუალებას მაძლევს ზოგადი დასკვნა გავაკეთო და პრობლემის გადაჭრის გზები ვეძებო. ჩემი საფიქრალ-საკეთებელი საკრებულოს გამგეობის საერთო ამოცანებიდან გამომდინარეობს და პრობლემის გადაჭრის ძალისხმევაც კოლექტიურია. მაგრამ მე ჩემი საკუთარი შეხედულებანიც გამაჩნია ზოგიერთი პრობლემის მართვის მოწესრიგებისათვის, ვუხამებ მას საერთო აზრს და კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისათვის ვიწყებ ზრუნვას.

„იმ საზოგადოებაში" სპეციალისტებთან, სამეურნეო მუშაკებთან, ეგრეთწოდებულ „საქმიან ხალხთან" დამოკიდებულების ერთგვარად მოქნილი სისტემა არსებობდა. მათი გამოყენება სახალხო მეურნეობის მართვის საქმეში შედეგსაც იძლეოდა — სამუშაო ადგილის გარეშე თითქმის არავინ რჩებოდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მთელი ძალისხმევაა საჭირო გაჩერებული და თითქმის განადგურებული წარმოების ამოქმედებისათვის, რომ სოციალურ სფეროს თანდათანობით ეშველოს.

ამ პროცესს კი, ჩემი აზრით, მხოლოდ მეურნეობრიობის მართვის სრულყოფა დააჩქარებს, რაც უნდა შედგებოდეს ძველის გამოცდილებისა და ახლის ძიების შეწონასწორების მეთოდებისაგან, რომლებიც ყველგან და ყველაფერში საქმიან ვითარებას დაარეგულირებს.

**კითხვა: თქვენ ერთ დროს ახალგაზრდობის ლიდერი ბრძანდებოდით; მაშინდელ თაობას თავისი პრობლემები და საზრუნავი ჰქონდა. ამჟამად კი ახალგაზრდობა სოციალურად თითქმის დაუცველია. დღესაც რომ ახალგაზრდობის ლიდერი იყოთ?!**

პასუხი: ყველა თაობას თავისი გადასაწყვეტი პრობლემები გააჩნია. ჩემი თაობისათვის სოციალური პრობლემები თითქმის არც იყო. არსებობდა ახალგაზრდობის დასაქმებისა და თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების პრობლემები, მაგრამ ასეთი ძალითა და სიმწვავით, როგორც დღესაა, არც გამოირჩეოდა.

დღეს ახალგაზრდობას არამარტო თავისი სამომავლო ცხოვრების მოგვარების პრობლემები აწუხებს, არამედ მშობლებთან, ოჯახთან ურთიერთობის, თვით დაოჯახების, სწავლა-განათლებისათვის საჭირო ეკონომიკური შესაძლებლობის პრობლემაც აფიქრიანებს. ახალგაზრდობა უშუალოდ შეეჩეხა უმწვავეს ყოფით პრობლემებს და სოციალურადაც დაუცველია: არ მუშაობს წარმოება, სოფელი თითქმის გაღატაკდა, გაიზარდა უმუშევრობა, გაუფასურდა დიპლომი და პროფესიონალები ქუჩაში აღმოჩნდნენ; კატასტროფულად შემცირდა მინიმალური საარსებო საშუალებანი. გაჩნდა მყარი საფუძველი მორალისა და ზნეობის დეგრადაციისა — ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკომანია, ომი, მაფიოზური კლანები, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები.

**ჟურნალისტი: ბოდიშ გიხდით, გამოდის, რომ უფროსმა თაობამ მიაგდო ახალგაზრდობა ბედის ანაბარა, მათმა ერთმა ნაწილმა კი ყოფის გაუმჯობესებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებანი იარაღით, ძალით მოიპოვა — თავის ბედს დასცინა.**

პასუხი: სრულიად გეთანხმებით და ამას ისიც მინდა დავუმატო, რომ ეთნოკრიზისებმა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა; მოსწავლე-ახალგაზრდობაშიც გაჩნდა ზნეობრივი დაცემის პროცესისათვის დამახასიათებელი სინდრომი. თუ ყველაფერს ამას დავუმატებთ ფასიანი სწავლების შემოღებას, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ერის მომავალი საფრთხის წინაშეა. მე არ მინდა ახალგაზრდობის ცხოვრება გავამუქო, მითუმეტეს ჩვენი რეგიონის ახალგაზრდობისა, რომელსაც გაუკულმართოებული მსახვრალი ხელი ნაკლებად შეეხო, მაგრამ მათს წინაშე რომ ვალში ვართ, ეს აქსიომაა.

პირდაპირ მინდა გამგეობისა და მისი ხელმძღვანელის სახელით განვაცხადო: ახალგაზრდობის სწავლების, დასაქმებისა და საერთოდ, რეგიონის დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება ჩვენი უპირველესი საზრუნავია და ამას ჩვენი მომავალი თაობა სულ მალე შეიგრძნობს.

მე რომ დღევანდელი ახალგაზრდობის ლიდერი ვიყო, ძველი არსენალიდან გამოვიყენებდი თავდაუზოგავი შრომის, პასუხისმგებლობისა და ყოველივე ეროვნულისადმი გულწრფელი სიყვარულის ჩვევებს და შევუსადაგებდი ახლანდელი პრობლემების თავისებურებათა გადაწყვეტას.

**კითხვა: თქვენ ზემოთ პრობლემების რიგი დაასახელეთ; ისინი მეტნაკლებად შეეხებოდნენ ეკონომიკის, სოციალური სფეროს, კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესების სადღეისო ამოცანებს. რა როლს მიაკუთვნებდით ამ პროცესების რეგულირების საქმეში მართვას (იგულისხმება ყველა სახის მართვა).**

პასუხი: ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: სრულყოფილი მართვის გარეშე არც ერთი საკითხი არ გადაწყდება, რაგინდ უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი. მართვა სჭირდება ოჯახსაც, წარმოებასაც, კრიმინოგენურ სიტუაციასაც და, თუ გნებავთ — ყოველდღიურ საქმიანობასაც როგორც გინდათ, ისე გამიგეთ. თუ გვინდა მართვის სრულყოფის მეთოდებს დავეუფლოთ, უნდა ვისწავლოთ წარსულისაგან, ვიცოდეთ დღევანდელი დღის ზუსტი სურათი და მეცნიერულად მივუდგეთ დასახული პროგრამის განხორციელებას. მართვა ხელოვნებაა, რომ მართო, პროფესიონალი უნდა იყო!

**კითხვა: რა გიტაცებთ? ოჯახი, იდილია, თუ მარტო საქმე.**

პასუხი: მიტაცებს კონსტანტინე, ვაჟა, გალაკტიონი; შეყვარებული ვარ ხალხურ მუსიკაზე; ერთ დროს ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. მეგობართა შორის ჩემი უპირველესი მეგობრები მეუღლე და ორი შვილია. ოჯახში — იდილიაც და საქმეც.

**ჟურნალისტი: წარმატებებს გისურვებთ.**

პასუხი: გმადლობთ.

---

# ჰოპლა, ჩვენ თაკვერელები ვცოცხლობთ და ვშრომობთ

ძალზე თავმდაბალი გამოვდექით. მეათე საიუბილეო ნომერი ისე გავუშვით, არცკი ვახსენეთ რამდენი წლისა (ბოდიში, შეგვეშალა) რამდენი თვისანი ვიყავით. ვინ იცის, შეიძლება ვინმეს მოელოცა, შეიძლება ვინმეს იუბილეს „გადახდა" მოეწყო, ან უბრალოდ — ფაქტის ფიქსაცია მოეხდინა. არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ასე სჯობია, მაგრამ მაინც რამდენი თვისა ვართ.

შვიდნი შევკავშირდით, შვიდი თვეა ვმუშაობთ და შედეგიც, ჩვენის აზრით გვაქვს: გაზეთი დაიბადა, ტელევიზიის შექმნის იდეაც „დავაუკაცდა" ორი გადაცემა უკვე მზად არის. რას იზამ — არხის ნებართვა ვილაცამ ჯიბეს იდო, ეგრეთწოდებული „პრისტავკებიც" აგვართვეს, გადამცემი აპარატი სამოყვარულო იყო და ვინლა დაეძებდა, მაგრამ ბედმა დაგვცინა გაგვიფუჭდა. სამაგიეროს გვპირდებიან, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს — მომთმენი ხალხი ვართ თაკვერელები.

შედეგი მაინც გვაქვს: ერთმა ჩვენთაგანმა საუკეთესო ოჯახი შექმნა და ახალ ბუდეში გადაფრინდა, მეორემ მეუღლის გული „გაახარა" — ქალიშვილი აჩუქა, მესამემ შვილი მოაწყო უმაღლესში, მეოთხემ — შვილიშვილი, მეხუთემ — მიგვატოვა, მეექვსემ და მეშვიდემ პირად საქმეში წინ ბიჯიც ვერ „ქნეს". თუმცა ყველამ ერთად, კიდევ ერთის და ბარეურის დამატებით საქართველოს პარლამენტს ღირსეული წევრი შევმატეთ.

ეს გასული წელი. იგი წავიდა და რამდენი სახუმარ-სატირალი დაგვიტოვა. სატირალი დღევანდელობას არ შეფერის. ტირილით ხომ არ დავიწყებთ ახალ წელს. თუმცა ყველა ჩვენთაგანმა ტირილით არ დაიწყო თავისი ცხოვრება? დაიწყო და ზოგი იცინის და ზოგიც დღესაც გაბმულად ტირის, უფრო სწორად ჩამოტირის ცხვირ-პირი.

ვიხუმროთ? არა, მთლიანად არა, ნახევრად სახუმარო სტვირი ჩავბეროთ. რა, სახუმარო რატომ არა გვაქვს? გვაქვს; სახუმაროც გვაქვს და სამუშაოც — არის გაზეთი, არის ქაღალდი, არის სტამბა, ძლივს ვშოულობთ „პასტებს" ხოლო საწერი თემა და აზრი ულევია. რა დაგვრჩენია — ვწეროთ და ვწეროთ გინდ თავისუფალ თემაზე და გინდ აკრძალულზე, ვინ გვიშლის. მთავარია გაზეთი გამოვიდეს, „შვიდმა შვიდეული გადაიხადოს".

წელსაც ჩვენ საკუთარი არაფერი არ გაგვაჩნია, სხვათაშორის არც ტელეფონი გვაქვს, არც ტელევიზორი, და როგორც ეტყობა, არც გვექნება. ასე არ ჯობია — „ბატონს ყმა უყვარდა უსმელ-უჭმელი, ტანსა უცმელიო".

ჰოდა, ჰოპლა, ჩვენც ვცოცხლობთ, ვშრომობთ და ვცხოვრობთ.

თაკვერელები.

ლეჩხუმის ისტორიის ციკლიდან

◆◆◆

# თაკუერის სახელწოდებისათვის

დავით კოპალიანი — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

ქართულ ისტორიოგრაფიაში „თაკუერის" სახელწოდების ქვეშ არსებობს სხვადასხვა შეხედულება. არის წყაროები, სადაც თითქოს „თაკუერი" ეწოდებოდა რაჭას და ლეჩხუმს ერთად. უფრო სარწმუნო წყაროებით ირკვევა, რომ „თაკუერის" ქვეშ იგულისხმებოდა მხოლოდ ლეჩხუმი. ამის შესახებ მინდა მოგითხროთ ამ სტატიაში.

ისტორიკოსი ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ „ბერძენთა და ოსთა ძალებმა, რომელთაც წინამძღოლობდა სომეხთა მეფე, გადმოლახეს გზა თაკუერისა და მოვიდეს ერისთავთანა ეგრისათა". ისტორიკოსის ამ ცნობამ აფიქრებინა მკვლევართა ერთ ნაწილს, რომ თაკუერი ის მხარე იყო, რომელიც კავკასიონს ებჯინება სამხრეთიდან გადასასვლელებამდე და ჩრდილო კავკასიელები სხვანაირად ვერ მოხვდებოდნენ ეგრისში, თუ არ გაივლიდნენ ამ ტერიტორიას, ამიტომ რაჭის ტერიტორიაც თაკუერის ფარგლებში იგულისხმეს. ასე მიაჩნდა სახელოვან მეცნიერს ვახუშტი ბატონიშვილსაც.

ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბატონიშვილის ამ შეხედულებას კრიტიკულად მიუდგა საქართველოს ისტორიის პატრიარქი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით იმ დროს ჩრდილო კავკასიაში ოსთა განსახლება იმდენად ვრცელი იყო, რომ მონაკვეთებში უახლოვდებოდა თაკუერის (ლეჩხუმის) ჩრდილოეთ საზღვრებს. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ლეონტი მროველიც თაკუერის გზაზე გაამახვილებდა ყურადღებას და მასში არ იგულისხმებოდა მერმინდელი რაჭის ტერიტორიას.

ნეოლითისა და ადრეფეოდალური ხანის პერიოდში თაკუერის მიმართ საქართველოს მესვეურთა ყურადღების გამახვილება გამოწვეული იყო აღნიშნული მხარის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით.

ეგრისის ერისთავთა რეზიდენციას არქეოპოლისი (დღევანდელი მარტვილის ტერიტორია) ნოქალაქევი წარმოადგენდა. ამ ქალაქში მიმავალი ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის უმოკლეს გზას, მამისონის უღელტეხილის გამოვლით ჯერ რაჭის ტერიტორიაზე რიონის ხეობა და შემდეგ სოფელ ჭყვიშიდან. თაკუერის ტერიტორია წარმოადგენდა. გზის მარშრუტი თაკუერის ტერიტორიაზე ასეთი იყო: ჭყვიში—თაბორი—ლაილაში—დეხვირი—ქულბაქი—ჯვრის გადასასვლელი (ასხის მთის მასივი). არქეოპოლისი (ნოქალაქევი). ჭყვიში უკიდურესი სოფელია თაკუერის ჩრდილო-აღმოსავლეთით: აქვე იყო აგებული ამავე სახელწოდების ციხესიმაგრე, რომელიც ჩრდილო აღმოსავლეთიდან თაკუერში შემოსასვლელ ერთადერთ გზას იცავდა. ქულბაქი კი თაკუერის დასავლეთ საზღვარზეა, აქედან იწყება მთიანი სამეგრელო. სახელწოდება „ქულბაქი" მიგვანიშნებს, რომ აქ ერთ დროს დუქნები და სავაჭრო პუნქტი ყოფილა.

ამრიგად, მე—4 და მე—5 საუკუნეებში ეგრისსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის საერთაშორისო სავაჭრო უმოკლესი გზა გადიოდა თაკუერისა და რაჭის ტერიტორიაზე, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. და იწოდებოდა თაკუერის გზად.

მე—7 საუკუნის მიწურულიდან რაჭის საერისთაო ადმინისტრაციულად გაერთიანდა თაკუერთან, მაგრამ ამ გაერთიანებულ საერისთაოში თაკუერი და რაჭა ყოველთვის იხსენიება ცალ-ცალკე თავიანთი სახელწოდებით. რაჭისა და თაკუერის საერისთაო თამარის დროს ავტორიტეტული ჩანს და მისი ერისთავიც დიდი პატივით სარგებლობს სამეფო კარზე. ამიტომაა, რომ თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალზე მთავარ ეფისკოპოს ანტონ ქუთათელთან ერთად სამეფო გვირგვინი ხელთ უპყრავს თაკვერისა და რაჭის ერისთავს კახაბერს (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., გვ. 26—27). ვარდან სვანთა ერისთავმა „შეპყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი საეგრიო, გურია, რაჭა, თაკვერი და არგვეთი (იქვე გვ. 49).

როგორც ცნობებიდან ჩანს, გაერთიანებული საქართველოს დროსაც კი, თაკუერის სახელწოდების ქვეშ ყოველთვის იგულისხმება საკუთრივ ლეჩხუმის ტერიტორია და არა ერთიანი რაჭა და ლეჩხუმი. მართალია, სამეფო კარმა მხარე მხოლოდ სამმართველოდ მოაქცია ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, (როგორცაა დღეს—დ.კ.). მაგრამ თითოეულ მათგანს შენარჩუნებული ჰქონდა თავისი სახე.

ეს წყაროებზე დაყრდნობით ჩანს, რომ თაკუერის სახელწოდების ქვეშ ყოველთვის იგულისხმებოდა ლეჩხუმის ტერიტორია და არა რაჭა—ლეჩხუმი, როგორც ეს მიაჩნდათ საქართველოს ისტორიის ზოგიერთ სპეციალისტს.

სახელწოდება „თაკუერის" წარმოშობის შესახებაც საისტორიო წყაროებში სხვადასხვა შეხედულებებია. ვახუშტი ბატონიშვილი წერს.—„ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსაც უწოდებენ „თაკვერად", არამედ მიიღო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კვერსავით მდებარისა". იხილე ესე „მთაკვერი", ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე „თაკვერისა"(ვახუშტი, აღწერა, თბ., 1941 გვ. 22).

პროფესორი მ. ჯანაშვილი იზიარებს ვ. ბატონიშვილის აზრს, თან შენიშნავს უნდა იყოს ნახმარი სახელწოდება არა „მთაკვერი", არამედ „თავკვერი" ე.ი. კვერსავით თავიანი.

ვინც ხვამლის მთაზე ყოფილა და კარგად დაკვირვებია, მთის ზედაპირი, მისი მოხაზულობა მართლაც ჰგავს კვერს, ხელოსნის იარაღს, რომელსაც სამჭედლოში იყენებენ, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ მთის მოხაზულობის გამო ეწოდა თაკვერი თვით ხვამლს და შემდეგ ლეჩხუმს, მაგრამ, როგორც მკვლევარები ასკვნიან, მარტო ზემოდ აღნიშნული ბირობა არ შეიძლება ყოფილიყო საკმარისი ლეჩხუმის ახალი სახელწოდების შექმნისათვის, უეჭველია, აქ საქმე გვაქვს უფრო დიდი მნიშვნელობის ღონისძიებასთან. ამ მხრივ ბევრ რამეზე მიგვანიშნებს ხვამლის მთის ისტორიული მნიშვნელობა.

ლეჩხუმის სამხრეთ დასავლეთ საზღვარზე აღმართულია ხვამლის მთა, რომელიც გადაჭიმულია 10—15 კილომეტრ მანძილზე, ქ. ქუთაისიდან ჩრდილო მხარეზეა აღმართული 20—25 კილომეტრის დაცილებით.

ხვამლის მთის თხემიდან იშლება ზღაპრული სანახაობა: აღმოსავლეთით მოჩანს ნაქერალას ქედი, რაჭისა და ტყიბულის შემოგარენი, სამხრეთ—აღმოსავლეთით და სამხრეთით—ლიხისა და აჭარა—იმერეთის მთები, უფრო ახლოს ქუთაისი და შემდეგ კოლხეთის ვრცელი დაბლობი. ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, იქვე ახლოს, ცაგერის ტაფობი ქალაქ ცაგერი და შემდეგ შორს ჩანს მუდმივი თოვლით „გადაპენტილი" ცენტრალური კავკასიონის ბუმბერაზი მწვერვალები—ილბუზი, უშბა, შხელდა, თეთნულდი, შხარა და სხვა. ჩრდილო—დასავლეთით ცხენისწყლის ვიწრო ხეობა, ასხის მთა ჯვრის გადასასვლელით.

ხვამლის მთის სიმაღლე ზღვის დონიდან ორიათას მეტრს აღემატება, მისი თხემი მოვაკებულია, რომელიც ოდნავ დაქანებული არის ჩრდილო—აღმოსავლეთისაკენ. ამ მხრიდან ამოდის საურმე გზა ხვამლის თხემზე. ხვამლის მთის სამხრეთი მხარე ფლატეა და სრულიად მიუდგომელია. ამ შვეული კლდის სიმაღლე დაახლოებით 250—280 მეტრია.

ხვამლის დასავლეთი მხარე ორსაფეხურიანი ციცაბო კლდეებისაგან შედგება, ეს მხარე მიუვალია. აქ არის მხოლოდ ერთი შემოსასვლელი, რომელიც იწყება პირველი საფეხურის დასაწყისიდან. საფეხურები თანდათანობით მაღლდება დასავლეთის მიმართულებით. ხვამლის თხემზე წმინდა გიორგის სახელობის უძველესი ეკლესიის ნანგრევებია. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, იქ, სადაც ხვამლზე დასავლეთ მხრიდან ასასვლელი საფეხურები იწყება, აგებულია ხვამლის ერთ-ერთი დამცავი ზუბის ციხესიმაგრე.

შეიძლება ითქვას, რომ ხვამლის მთა თვით არის ბუნებრივი „ციხესიმაგრე". ამ მთის მასივში გამოვლინებულია ექვსი გამოქვაბული. მათი შესწავლის მიზნით რამდენჯერმე მოეწყო ექსპედიცია. ცნობილი მთასვლელის ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, რაც შემამზადებელ ღონისძიებას წარმოადგენდა ამ ქვაბულთა მეცნიერული შესწავლისათვის. „ჩვენი მიზანი იყო, — წერდა ალ. ჯაფარიძე, — გამოქვაბულებში შესვლის ორგანიზაციის მოწყობა და ზოგადი გამოკვლევების ჩატარება, რათა მომავლისათვის უზრუნველგვეყო წმინდა მეცნიერული კვლევათა ჩატარება" ( ალ. ჯაფარიძე, რჩეული ჩანაწერები თბ., 1949 გვ. 302).

დადასტურდა, რომ ხვამლის გამოქვაბულებში გარკვეულ პერიოდში უცხოვრიათ ადამიანებს და ეს ბუნებრივი სადგომები სპეციალური დანიშნულებითაც გამოუყენებიათ. ამას ამტკიცებს ქვაბულთა აღწერილობანი, სადაც ალ. ჯაფარიძე წერს: „გამოქვაბულისა და მის გარშემო ნაგებობათა განლაგებას რომ დავაკვირდებით, ასეთი სურათი იხატება: მთავარი გამოქვაბული მართლაც წარმოადგენდა განძთსაცავს, ქვემოთ მოწყობილი ოთახები კი, რომლებიც დაიტევდნენ ერთდროულად 40—50 კაცს, წარმოადგენდნენ მცველთა სადგომებს, საიდანაც ხორციელდებოდა საგუშაო სამსახური. ( იქვე, გვ. 306)

დასავლეთ საქართველოში, ქუთაისთან ახლოს ასეთი ბუნებრივი „ციხესიმაგრე", ბუნებრივია, მიიქცევდა საქართველოს სამეფო კარის ყურადღებას. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ისედაც ბუნებრივად შეუვალი ხვამლი საგანგებოდ არის გამაგრებული მის ირგვლივ არსებული ციხესიმაგრეებით. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან, როგორც წყაროები მოწმობენ, ხვამლის მთა და მისი ქვაბულები სახელმწიფო სიმდიდრის განძთსამალავი ყოფილა.

ხვამლი საქართველოს განძთასაცავად ითვლებოდა დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, ვიდრე მე—14 საუკუნემდე. ამ დანიშნულებით აღმოსავლეთ საქართველოში გამოყენებული იყო უჯარმა.

ცნობილია, რომ მონღოლების შემოსევის დროს რუსუდან დედოფალმა თავისი რეზიდენცია ქუთაისში გადმოიტანა. ამასთან დაკავშირებით მთელი სახელმწიფო განძეულობაც უჯარმიდან წაიღო და ხვამლის ქვაბულებში მოათავსა (ალ. ჯაფარიძე, რჩეული ნაწერები, თბ., 1949 გვ. [illegible]).

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში" მოიხსენიებს ხვამლის მთას, როგორც ეროვნულ [illegible] დასავლეთით, [illegible] კლდე, ამ კლდე[illegible] ლი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები" (ვახუშტი, აღწერა თბ., 1941 გვ. 157).

არსებობს ხალხური გადმოცემა, რომელიც მიუთითებს ხვამლის, როგორც ეროვნული განძთსაცავის მნიშვნელობაზე: „ქვეყანა რომ დაიმშეს, ხვამლმა არჩინოსო".

სწორედ ამით და იმიტომაც რომ ადრე ლეჩხუმზე გადიოდა თაკვერის საერთაშორისო გზა, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ არა მარტო ხვამლის მთა, არამედ მთელი ლეჩხუმიც საგანგებოდ არის გამაგრებული.

ლეჩხუმში იშვიათად ნახავთ სოფლებს შორის დამაკავშირებელ ძველ გზებს, სადაც აგებული არ იყოს ციხესიმაგრე. თუ დავაკვირდებით საამშენებლო მასალებსა და მშენებლობის ხელოვნებას დაახლოებით მივხვდებით, რომ მათი უმრავლესობა მე—10, მე—13 საუკუნეებს განეკუთვნება. ასეც მიუთითებს ზოგიერთი სპეციალისტი. სწორედ აღნიშნულ პერიოდში ხვამლი, იგივე თაკვერი დიდ როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ლეჩხუმის ციხესიმაგრეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი არიან დეხვირის (თაკვერი), ზუბის, უწვაშის, ორბელის, მურის ლეშკაშის, თაბორის, ჭყვიშის, გვესოს, გონის და სხვა. ისინი გამოირჩევიან თავიანთი გრანდიოზულობითა და სტრატეგიული თვალსაზრისით.

ალბათ ხვამლის მთას, როგორც განძთსაცავს, უნდა მიეღო სხვა სახელწოდება, რომ იგი საიდუმლოებით მოცული ყოფილიყო და მისაგნები არ გამხდარიყო მომხვდური მტრებისათვის. ეს მართლაც ასე მოხდა. ხვამლის მთამ მისი თხემის მოხაზულობის მიხედვით მიიღო სახელწოდება „მთა—კვერისა", ან „თავ—კვერისა". ამ ფორმაში, როგორც ჯანაშვილი შენიშნავს, „მ" და „ვ" იკარგება და რჩება „თაკუერი".

ბუნებრივია, ხვამლის მთის (თაკუერის) ესოდენ დიდმა მნიშვნელობამ წინა პლანზე წამოსწია თვით ლეჩხუმი, სადაც მდებარეობს ხვამლი. ეჭვს გარეშეა, რომ ლეჩხუმის მხარესაც სახელწოდება „თაკუერი" ამ მთისაგან უნდა ჰქონდეს მიღებული.

ლეჩხუმის ტერიტორიას „თაკუერის" სახელწოდებით მოიხსენიებენ შემდგომი პერიოდის წყაროებიც. მე—19 საუკუნის დამდეგს გრიგოლ დადიანი ციციანოვს უგზავნის წერილს, რომელიც ხელმოწერილია „სამეგრელოს და თაკუერის მფლობელ მთავარი დადიანი გრიგოლის" ტიტულით. აქედან ირკვევა, რომ ისტორიულად თაკუერი ეწოდებოდა ლეჩხუმსა და არა რაჭა—ლეჩხუმს.

❖ ❖ ❖

# გახსოვდეთ, ბიჭებო: თქვენს შორისაა ლეგენდარული სიომა ბარქაია

გასულ წელს, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, ჩვენს რაიონს სტუმრად ეწვივნენ ცნობილი ქართველი ფეხბურთელი,



სპორტის დამსახურებული ოსტატი, ყოფილი სსრ კავშირის ნაკრების წევრი, დინამოელი ვლადიმერ (სიომა) ბარქაია და სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი. მათთან ინტერვიუ ჩვენმა გაზეთმა თავის დროზე დაბეჭდა.

გვინდა გავიხსენოთ ამ სურათზე აღბეჭდილი ბიჭების ერთი სანაქებო ქცევის მომენტი. ბატონმა სიომამ გვთხოვა ქალაქში წარმომადგენლის გარეშე გავიარე და ჩემს შთაბეჭდილებებს შემდეგ გაგიზიარებთო. რა თქმა უნდა დავთანხმდით. ერთი საათის შემდეგ იგი აღელვებული დაბრუნდა და პირდაპირ დაიწყო:

—რამდენი ხანია, სკოლის მოედანზე ბიჭების ფეხბურთის თამაშს ვუყურებ და განცვიფრებული დავრჩი ერთი უწმაწური სიტყვაც არ გამიგონია, გინების ნატამალიც არ მსმენია, გამახსენდა ჩემი ბავშვობა, ქუჩის ფეხბურთი და ყველა ბიჭი მინდოდა გადამეკოცნა, მაგრამ ვერ მოვახერხეო. ჰო ერთი — დეტალიც: მოთამაშეებს ერთი ბიჭი შემოემატათ, მგონი გვარად ლიპარტელიანია, როგორი სითბოთი მოიკითხეს, გადაეხვივნენ და თამაშის ორომტრიალში მოაქციეს, თურმე ავად ყოფილა და ბიჭებიც გრძნობდნენ უმისობას, როგორი კარგი ბიჭები გყავთ, როგორი გულღიები, ალალი, ლამაზი, და რაც მთავარია, ზრდილობიანი (და კვლავ გაიმეორა ბატონმა სიომამ — დღეს ასეთები მხოლოდ მთაში შეიძლება ნახოს კაცმაო).

ეს სურათიც მაშინ გადაიღეს დეპუტატობის კანდიდატმა ვ. გიორგობიანმა, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა და ლეგენდარულმა ფეხბურთელმა სიომა ბარქაიამ (უკანა რიგში მარჯვნიდან თანმიმდევრობით). ბიჭების გვარებს არ ვასახელებთ—თვით იამაყონ, ვისთან აქვთ გადაღებული ეს სამახსოვრო ფოტოსურათი.

თაკვერი

დამფუძნებლები: რაიონული გამგეობა და ფირმა „თაკვერი"

რედაქტორი აკაკი ჩიქოვანი

თავისუფალი გაზეთი
ქ. ცაგერი რუსთაველის 69. ტელ. 20-05
რეგისტრაციის № 222
შეკვეთა № 510 ტირაჟი 500 ც.

გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბაში"
ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
☎ 6-07-80, 6-34-99, 6-37-79